პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქმე

№ 21 (6086)

29 1978 წ. იანვარი ოთხშაბათი

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ДЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского, Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისის XVII ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში

დაუდალავი შრომის ნაყოფი

ოთახში სიჩუმეა, მსაჯები მაგიდას შემოსხდომიან, მიმდინარეობს კენჭისყრა, რომელმაც თბილისის XVII საერთაშორისო ტურნირის პირველი დღის წყვილები უნდა გამოავლინოს. ...ერ ისევ ბნელოდა, როცა ...ჭიდავეები აიწონნენ, ახლა მოსამზადებელი პერიოდის მეორე ეტაპია... ...ჯიბრების მთავარი მსაჯი, საქართველოს სპორტკომიტეტის ჭიდაობის სამმართველოს უფროსის მოადგილე ...ვი ყვარელაშვილი ყუთიდან კენჭს ...ებს, აკვირდება და „თორმეტიო" — აცხადებს. ეს ნომერი მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს ...ევან თედიაშვილს ერგო. ოთახში ...ოსავით გაირბენს ჩურჩული, აინ...ურსებთ ვინ იქნება ლევანის პირველი მეტოქე. გ. ყვარელაშვილი მეორე კენჭის ამოსაღებად ეშზადება.

— ბისულთანოვი! — ხუმრობით ...ახის ვიღაცა, მსაჯებს ეღიმებათ — ...ველამ იცის, ლევანი მოუთმენლად ...ლის ასლანბეკ ბისულთანოვთან შეხვედრას. მან ხომ შარშანდელი დამარცხებისთვის „შური უნდა იძიოს".

...სპორტის მოყვარულებს ერთი ახალგაზრდა თვისება აქვთ — ჩემპიონისგან ყოველთვის გამარჯვებას თხოულობენ. საკმარისია ფავორიტს თუნდაც ერთხელ უმტყუნოს ბედმა, თუნდაც ერთხელ გადაუბრუნდეს ფეხი, ...ომ მაშინვე ატყდება ერთი აურზაური, ჩურჩულ-ტუტუნი და უიმედო თა...ს ქნევა. გამოჩნდებიან სკეპტიკოსები, ხშირად ზერელე, სპორტში ჩაუდეავი და მამლის ბოლოსავით ქარს ...ყოლილი ხალხი — მართლაც მძიმეა ...ჩემპიონის ტვირთი... ლევან თედიაშვილმა სულ რაღაც ერთი წლის წინ გამოცალა „ამპლუა" — მეორე საშუალო წონიდან ქვემძიმეში გადავიდა და უნდა ითქვას, რომ მიუხედავად არასახარბიელო დებიუტისა, მაინც უცემ დაიბრუნა ჩვეული ფორმა. ამაზე შარშან, 5-9 დეკემბერს, ირანში შახ-არიამერხის თასზე გამართულ საერთაშორისო ტურნირში მისი ბრწყინვალე გამარჯვებაც მეტყველებს. თუმცა ისევ კენჭისყრას მივუბრუნდეთ.

...მთავარ მსაჯს უკვე ხელში უჭირავს მორიგი კენჭი და რიცხვ „თერთმეტს" ცოტა არ იყოს გაოცებული დასცქერის — იგი სწორედ ბისულთანოვის საკუთრება აღმოჩნდა. მაშასადამე, ლევანის პირველი მეტოქე სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი ასლანბეკ ბისულთანოვია...

* * *

თბილისის საერთაშორისო ტურნირზე თორმეტი ქვეყნის 160-მა მოჭიდავემ მოიყარა თავი. ჩამოვიდნენ ბულგარელები, რუმინელები, გდრ-ის, აშშ-ს და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები, უნგრელები, კუბელები, ირანელი, თურქი, მონღოლი და პოლონელი სპორტსმენები. მოწვეული იყვნენ იაპონელი მოჭიდავეებიც, რომლებმაც გაურკვეველი მიზეზის გამო შეჯიბრებაში მონაწილეობა ვერ მიიღეს.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელს, სოხუმელ ტრისტან აბსავას (48 კგ) პირველსავე შეხვედრაში არ გაუმართლა — მას კენჭისყრამ ძლიერი მეტოქე ირანელი ჰასან როსტგარუნა. ტრისტანი ამ შეხვედრაში პასიურობდა და სამი გაფრთხილების შემდეგ შეჯიბრებიდან მოიხსნა. ირანელმა მეორე წრეში ვ. რაგიმოვს (სსრკ კავშირი) სძლია და შეჯიბრებას მხოლოდ ერთი საჯარიმო ქულით აგრძელებს. აბსავა კი ზედიზედ ორი დამარცხების გამო სულ გამოეთიშა ტურნირს (მეორე წრეში მან მსოფლიოს ჩემპიონ რომან დიმიტრიევთან იწვნია მარცხი). ამავე წონით კატეგორიაში წარმატებით ასპარეზობს საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი ზაპირ კაზაკბიევი, რომელსაც ორი შეხვედრა აქვს მოგებული. ოთხი საჯარიმო ქულით ასპარეზობს საქართველოს წარმომადგენელი ნარიმან ჯაფაროვი.

ანზორ კაპანაძემ (52 კგ) ტურნირის პირველ დღეს მაყურებელი მოხიბლა. მან აშკარა უპირატესობით (20:3) დაამარცხა ირანელი რაშიდ ფარხადი, ხოლო პურუპ გამბოლდთან (მონღოლეთი) წმინდა გამარჯვებას მიაღწია. ანვე საჯარიმო ქულების გარეშე ასპარეზობენ ბულგარელი დიმიტრი ფილიპოვი და ალექსი ივანოვი (სსრ კავშირი). ანდრო სულაქველიძე ოთხი საჯარიმო ქულით აგრძელებს შეჯიბრებას.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა გივი ქენქაძის (57 კგ) გამოსვლამაც, რომელმაც პირველ წრეში აშკარად სძლია იოზეფ კლიმჩაკს (ჩესოსლოვაკია). ელექტროტაბლოზე ერთიმეორის მიყოლებით ინთებოდა ციფრები: 4:1, 7:1, 9:1, 11:1 და ბოლოს, 4 წუთსა და 30 წამში წმინდა მოგება! აშკარად გამოირჩეოდა მსოფლიო თასის მფლობელი გურგენ ბაგდასარიანი (სსრკ), რომელსაც ორი შეხვედრის შემდეგ მხოლოდ ერთი საჯარიმო ქულა აქვს.

როცა მსაჯებმა ხალიჩებზე ერთდროულად გაზოიძახეს მსუბუქი წონის (62 კგ.) მოჭიდავეთა წყვილები — ემანუელ რადუ (რუმინეთი) — ბადრი სარდანიშვილი და მერაბ ხითარიძე — იუპუს სარე (თურქეთი), მაყურებელი დაიბნა — ჭიდაობის ქართველ გულშემატკივრებს, ბუნებრივია, ორივე შეხვედრა თანაბრად აინტერესებდათ. მითუმეტეს, რომ ბადრიმაც და მერაბმაც ილეთების კორიანტელით თავბრუ დაახვიეს მეტოქეებს და მაყურებელსაც ერთი ხალიჩიდან უნებურად მეორისკენ გაურბოდა თვალი (სწორედ ისე, პინგ-პონგის ბურთს რომ შესცქერიან ხოლმე). ამას ისიც დაერთო, რომ ქართველმა ფალავნებმა თითქმის ერთდროულად გადაიყვანეს მეტოქეები ხიდზე და დაძაბულობამაც ერთიორად იმატა. ბოლოს რუმინელი, როგორც იყო, დაუძვრა სარდანიშვილს, მაგრამ თურქმა იუპუს სარემ ეს ვერ მოახერხა და 4 წუთსა და 28 წამში ორივე ბეჭებით შეეხო ხალიჩას. სულ რაღაც სამეოდე წუთის შემდეგ კი სარდანიშვილმაც იზეიმა წმინდა გამარჯვება.

(დასასრული მე-3 გვ.).

* * *

სურათებზე: ლევან თედიაშვილისა და ასლანბეკ ბისულთანოვის შეხვედრის მომენტები.

ბ. კოტორაშვილის ფოტოები.







საქართველოს სპორტკომიტეტში

გაიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომა, რომელიც მიეძღვნა ფედერაციის მიერ გაწეული მუშაობის შედეგებსა და მომავალ ამოცანებს.

სხდომაზე აღინიშნა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გარკვეული მუშაობა ჩაატარა სპორტის ამ ყველაზე მასობრივი სახეობის პოპულარიზაციისა და შემდგომი აღმავლობისთვის, მაგრამ ამავე დროს ფედერაციის საქმიანობაში იყო მთელი რიგი ნაკლოვანებანი. „ა" კლასის მეორე ლიგის გუნდების, აგრეთვე, საქართველოს პირველობაში მოსაპარეზე კოლექტივების გამოსვლებისას ხშირი იყო არაკვალიფიციური მსაჯობის, მოთამაშეთა უხეშობისა და დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. ფედერაცია ჯერ კიდევ იჩენს ლიბერალიზმს წესრიგის დამრღვევთა მიმართ, იშვიათად ამოწმებს გუნდების ფიზიკური, ტექნიკური თუ სანებისყოფო მომზადების დონეს, სუსტად ეხმარება მათ მეთოდურად. პრეზიდიუმის სხდომაზე აზრი გამოთქვეს სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა: ბ. ჯაჯელავამ, მ. მესხმა, ბ. ჩოხელმა, ეკიმმა რ. სვანიშვილმა, საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსმა ა. ჭაკუსელმა, საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეებმა ნ. ებრალიძემ, შ. ჟველიაშვილმა.

იმის გამო, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე ი. საყვარელიძე ხანგრძლივი დროით მივლინებულია რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად ჩათვალა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარის მოვალეობა დაკისროს გ. ჯეჯელავას.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ დ. პერტენავამ.

რემიდის მისამართი — სოფლის ფიზკულტურული კოლექტივები

სოფლის ფიზკულტურულ კოლექტივებში მშდ კომპლექსის დანერგვის მდგომარეობისა და კომპლექსის ნიშნოსანთა მომზადების ხარისხის შესწავლის, აგრეთვე, ადგილებზე მშდ ინსპექციებისა და ხაინსპექციო ჯგუფების საქმიანობის გააქტიურების მიზნით, მიმდინარე წლის 27 იანვრიდან 20 თებერვლამდე ტარდება მეოთხე რესპუბლიკური რეიდი.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების, სპორტსაზოგადოებათა საბჭოებისა და უწყებების ვალია აქტიურად ჩაებან რეიდის მუშაობაში, ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ მშდ-ს რესპუბლიკური ინსპექციის წევრებს, გააანალიზონ ჩატარებული შემოწმების შედეგები და მიიღონ კონკრეტული ზომები შემჩნეული ნაკლოვანებებისა და დარღვევების აღმოსაფხვრელად.

ტანვაჭრობა

ირინე გაბაშვილი პრიზიორია

მოსკოვი „კრილია სოვეტოვის" სპორტის სასახლეში დამთავრდა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ტურნირი მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონების ლ. სავინკოვას, ე. კარპუხინას, გ. შუგუროვასა და ი. დერიუგინას პრიზებზე. თვითონ ეს სპორტსმენები (გარდა დერიუგინასი) მონაწილეობდნენ შეჯიბრებაში, ოღონდ როგორც მსაჯები. ორი დღის შეჯიბრების შემდეგ გაიმარჯვა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ა. დერიუგინას აღსაზრდელმა კიეველმა ვ. სედიხმა — 37,4 ქულა. II ადგილზე გავიდა ვოლგოგრადელი ე. ტომასი — 37,3, ხოლო მესამე იყო თბილისელი ი. გაბაშვილი — 37,0. შეჯიბრება, რომელშიც 23 სპორტსმენი მონაწილეობდა, მათ შორის ექვსი სსრ კავშირის ნაკრების წევრი, ძალზე საინტერესო იყო და მიმზიდველ ბრძოლაში ჩატარდა. თბილისელი ტანმოვარჯიშის ირინე გაბაშვილის წარმატება მით უფრო სასიხარულო და თვალსაჩინოა.

მთელი ცხოვრება — სპორტს!

ყველაფერი სიყვარულით იწყება. თუმცა, ერთიც არის: ის, რასაც დროსა და ენერგიას შეალევს კაცი, არ შეიძლება შენეულად, შენი არსებისა და ყოფის ნაწილად, შენი არსებობის აზრად არ იქცეს. ახე ყოფილა და იქნება. ასე, ამისთვის და ამად არის კაცი გაჩენილი. სხვანაირად ქაოსი მოიცავდა ადამიანთა მოდგმას, არც სიკეთე იქნებოდა, არც პროგრესი, აზროვნებაცა და მცდელობაც ფუჭ ტვირთად ექცეოდა კაცობრიობას.

დრო მუხთალიაო... მართლაც საოცრად სწრაფად გარბის — ერთს კი მოიხედავ და, ეს ამოდენა გზა უკან დაგრჩენია. დაგენანება, როგორ არ დაგენანება, მაგრამ თუ იქ, წლების სიგრძის სავალზე შენს ნაშრომსა და ნაოფლარს ვერსად მოკრავ თვალს, სინანული ტკივილად გექცევა, ქვეყანაც მოგძულდება, საკუთარი თავიც. არავისთვის ყოფილხარ, არაფრისთვის ყოფილხარ, ტყუილად, სულ ტყუილად გითელია ეს გზა.

კარგი და ცუდი, სასარგებლო და უსარგებლო საქმე არ არსებობს, ყველაფერი კარგია, რასაც გულსა და სულს მისცემ — ისიც ხომ იმითვე გიბრუნებს!

ფიზკულტურა და სპორტი. დღეს ალბათ უადგილოა მის საჭიროებაზე საუბარი, ალბათ უადგილოა იმის მტკიცება, რა იყო და რა იქნება ეს ადამიანებისთვის.

კაცმა რომ თქვას, ვერაფერი სასიამოვნოა ამ ორჯერ ორივით ცნობილ ჭეშმარიტებაზე საუბარი, მაგრამ...

ჩვენ ყველას გვინდა კერკეტი კაკალივით თაობა გაგვეზარდოს, სწავლაც შეეძლოს და გარჯაც, სიკეთეშიც გამოადგეს ქვეყანას და ჭირშიც. ყველას გვინდა ჩემპიონებიცა გვყავდეს და რეკორდსმენებიც — ეს ჩვენი სიამაყეა, ჩვენი სახელია. მაგრამ ყველაფერს გაზრდა სჭირდება, მოვლა და მზრუნველობა სჭირდება, მებაღე სჭირდება ძირგაუმაგრებელ თაობას!

მწვრთნელიც მებაღეა — ათობით ნერგი აქვს დასარგველი, მოსავლელი და გასაზრდელი. ყველას უნდა მიხედოს, სითბო და ყურადღება არ მოაკლოს. აქა-იქ განსაკუთრებულიც გამოარჩიოს — მტრის თვალის დასავსებად, მოყვრის გასახარებლად დაანახოს ქვეყნიერებას.

მთელი ცხოვრება — სპორტს! — ბევრი გვყავს კი ისეთი, ეს სამი სიტყვა ამაყად სათქმელად რომ გამოადგეს? არც ისე ბევრი. სამწუხაროდ ასეა, და ჩვენი შეჭირვების ერთ-ერთი მიზეზიც ეს არის.

მწვრთნელი... ეს სახელი ბევრს შეეძლო ეტარებინა, ბევრი ვალდებულიც იყო. ქართულ სპორტს კი სულ უფრო უჭირს მათი მოძებნა, ვინც შემართებას, ვაუკაცობას ახწავლის დაუფრთიანებელ თაობას, ვინც ნებისყოფის სიმტკიცეს შესძენს, გაძლებასა და მიწაზე მყარად დგომას შეაჩვევს ძვალგაუმაგრებელ ბიჭებსა და გოგონებს, ვინც ერის შვილებად გაზრდის ქვეყნის ხვალინდელ საყრდენსა და იმედს. ამ დროს კი ისინი, ვისაც პირველყოვლისა ევალება, ვინც საამისოდ არის მოწოდებული, ქუდს იხურავს და მიდის...

ძნელია, ძალზე ძნელია მწვრთნელობა, მაგრამ რაღაა იოლი? — საკუთარ ნაუბეში ჩაკეტვა, მხოლოდ საკუთარ ტყავზე ზრუნვა, ყველაფრის ზერელედ კეთება და განგ-განსიარული. ასეთებს პატივნაცემი სხეულები კი აქვთ, მაგრამ სულთან არიან უკაცრავად. თუმცა, რა, იმათ ბრჭყვიალა სიცარიელენი, მედროვეებიც ჰქვიათ და დროც იმით უსდის სამაგიეროს, რომ გამოუსადეგი ნარჩენებივით მოიშორებს გზიდან, ისეთსავე სიცარიელეში ჩაუძახებს.

ქუდს იხურავენ და მიდიან... სხვამ აკეთოს საკეთებელი. თვითონ მოპოვებული პატივით სარგებლობენ, კარგადაც ეწყობიან. სხვისა არ ვიცი, ყოფილ სპორტსმენთა ვაჭრობის სფეროში საყოველთაო გადასახლება კი ორი და იქნებ სამი ათეული წლის ჩვევად, „სასახელო“ ტრადიციად იქცა. განა რა დასაწუნია ეს სფერო, მაგრამ იქაც საქმის ხელოვანლებენ, ბირველ რიგში საქმის მცოდნენი არიან საჭირონი. მოწოდებით სპორტსმენსა და განათლებით მწვრთნელს დახლისა არც რამე გაეგება და არც ესაქმება.

ამას შენ გეუბნებით, ყოფილო სპორტსმენო, ახელოვანო, ლამაზყდიანი დიპლომი, ფიზკულტურის ინსტიტუტის დიპლომი რომ გიდევს ჯიბეში!

ვიცით, საკმაო ოფლი ღვარე, ბევრიც ეწამე. თუმცა აგინაზღაურდა კიდეც — სახელი დაიგდე, რწმენა შეიძინე, ხალხის სიყვარული მიიგე, შენივე თავის შეცნობის უნარი მიიმადლე.

შენ მოგმართავთ ყოფილო სპორტსმენო, ყველაფერი ერთად რომ შეჭკარი და დავიწყების გუდაში უკარი თავი, იოლი გზა რომ ირჩიე, ღამურობა რომ ინდომე, საეჭვო დღეკეთილობისთვის კაცური ტვირთი რომ დაადგე და თბილ ადგილს მიუჯექი.

რა პასუხს აძლევ ქვეყანას, ხალხს, მასწავლებლებს, ამდენი ამაგი რომ დაგდეს, ვისთვის ან რისთვის ინახავ ცოდნას, მისხალ-მისხალ, მოთმინებითა და რუდუნებით რომ აგროვებდა შენში შენი მწვრთნელი და მასწავლებელი. და ბოლოს, რას ეუბნები, რაზე ფიქრობ, როცა მარტო რჩები საკუთარ თავთან. ხომ გაგონდება იმედებისა და მარცხის, გამარჯვებებისა და სინანულის წუთები, დღეები, წლები... უთუოდ გიხმობს ნაცნობი დარბაზი, სტადიონი ან ბილიკი — შენივე ოფლით მორწყული... ნეტავ რასა გრძნობ, როცა ხტუმარივით შესცქერი ბრძოლებს, რომლის მონაწილეცა და სულის-ჩამდგმელიც ერთ დროს თვითონვე იყავი. არაფერს გეუბნება გული, არ გეთანაღრება? საეჭვოა. საეჭვოა, რადგან იქ, სარბიელზე დასტოვე უმაწვილაკაური ოცნებებისა, ყინისა და რაღაც მეტისკენ სწრაფვის წლები, ხპორტს შეალიე ახალგაზრდული ენერგია. იმის დავიწყება კი, რაზედაც ჯაფა გაგიწევია, ასე უბრალოდ, უმტკივნეულოდ არ შეიძლება. იმ დარბაზებსა და სტადიონებზე ახლა წვრილკანჭება ბიჭუნები დარბიან, იმათი ვალიც გაქვს...

ნათქვამია, ერთი ბაღის გაშენებას მთელი ცხოვრება უნდაო. მთელი ცხოვრება სჭირდება, რაგინდ საქმეც არ უნდა იყოს, თუ კეთილია ის, თუ ნაყოფს გამოიღებს, თუ გამრავლდება... იმ ჩვენი ცხოვრების ბაღშიც, ხვალინდელი დღის ძალასა და ძლიერებას რომ ვახარებთ, უამრავი ახალი ნერგია. ათი, ასი, ათასი მომვლელი, მზრუნველი, პატრონი სჭირდება იმ ბაღს!

ძალები უთანასწორო იყო



საქართველოს პროფკავშირთა ზამთრის სპარტაკიადა

წლევანდელმა ზამთრის სპარტაკიადამ ერთხელ კიდევ დაგვანახა, რომ სპორტსაზოგადოებათა საბჭოები ძლიერი მოთხილამურეების აღზრდისთვის სათანადოდ არ ზრუნავენ, სისტემატურად არ მუშაობენ ახალგაზრდებთან, რომლებიც მხოლოდ შეჯიბრებების მოახლოებისას აგონდებათ. ისინი სპორტსმენთა 2-3-კვირიანი (ზოგჯერ არც ამისთვის იწუხებენ თავს) შეკრებით კმაყოფილდებიან და როგორც კი ფონს გავლენ, მომავალ სტარტებამდე სათხილამურო სპორტის არსებობაც ავიწყდებათ და სპორტსმენებიც.

ერთადერთი, რაც ამ ტურნირის დადებით მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს, სპარტაკიადაში „ვოდნიკის“ მონაწილეობაა, მაგრამ უნდა ითქვას: თუ „ვოდნიკის“ რესპუბლიკურმა საბჭომ შეძლო ამ მიმართებით ნაბიჯი წინ გადაედგა და მარტო მორბენლები კი არა, სამთო-მოთხილამურეც გამოეყვანა, რატომ ვერ მოახერხა ეს უფრო ძლიერმა ორგანიზაციამ — „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭომ, რომელსაც ზამთრის სახეობების განვითარების მეტი შესაძლებლობები აქვს — რკინიგზელთა კოლექტივები თოვლიან რაიონებშიც ჰყავს.

სამწუხაროდ, დიდ დაინტერესებას არც „განთიადის“ ცენტრალური საბჭო იჩენს. მართალია, ეს საზოგადოება, მისი ფიზკულტურული ორგანიზაციები პროფკავშირების დარგობრივი რესპუბლიკური კომიტეტების დახმარებით ბაკურიანში ყოველწლიურად აწყობენ ჯანმრთელობის სპარტაკიადებს (ეს თავისთავად შესანიშნავი ღონისძიებაა), მაგრამ დიდი სპორტისთვის ეს როდი კმარა.

„განთიადი“ პროფკავშირების ზამთრის სპარტაკიადებში მუდამ უხეიროდ გამოდის. იგი ახლაც ოთხ გუნდთან შეჯიბრებაში 302 ქულით IV ადგილს ვერ ასცდა და ერთადერთ გუნდურ სპრიზო ადგილს დასჯერდა — რბენებში „კოლმეურნესთან“ (470 ქულა) 261 ქულა წააგო და II ადგილი მოიპოვა, სამთო-სათხილამურო სპორტში გამარჯვებულ „ბურევესტნიკს“ (232 ქულა) 139 ქულით ჩამორჩა და IV ადგილზე გავიდა. „მფრინავ მოთხილამურეთა“ შეჯიბრებაში არც მას და არც „ბურევესტნიკს“ მონაწილე (აღარას ვამბობთ გუნდებზე) არ ჰყავდათ (?!).

ცხადია, ეს ფაქტი კარგად არც „ბურევესტნიკს“ ახასიათებს; საერთო გუნდურ ჩათვლაში სტუდენტთა საზოგადოების მიერ III ადგილის დაკავება ვერაფერი წარმატებაა, რადგან მებრძოლი ახალგაზრდობა ძირითადად სწორედ რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებშია თავმოყრილი. საჭიროა ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრების დახმარებით მათი დარაზმვა და რეგულარული ვარჯიში, რასაც სტუდენტობის ჯანმრთელობის განმტკიცებისთვის ზრუნვაც მოითხოვს.

სპარტაკიადისთვის ყველაზე უკეთ მომზადებული მაინც „კოლმეურნე“ აღმოჩნდა, მისმა სპორტსმენებმა ტრამპლინიდან ხტომაც მოიგეს და საბოლოო ჯამში II ადგილზე გასული „სპარტაკი“ (543 ქულა) 298 ქულით ჩამოიტოვეს.

არც პირადი შედეგები იყო სახარბიელო. საქართველოს ნაკრებს, რომელმაც მარტში სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის IV სპარტაკიადაში უნდა სცადოს ძალა, პროფკავშირული სპორტსაზოგადოებები სათხილამურო სპორტში მაინცდამაინც ბევრს ვერაფერს არგებენ.

სპარტაკიადის ბოლო დღეები ესტაფეტებსა და გიგანტურ სლალომში ქალების შეჯიბრებას დაეთმო. ამ დღეს კოხტაგორაზე გაანცხადების მიხედვით ცხრა სპორტსმენი უნდა გამოსულიყო. ოთხმა მათგანმა არც თუ ძნელ ტრასაზე დაშვება ვერ გაბედა. საბოლოოდ ქალთა შორის აქაც ს. ნასყიდაშვილმა („ბურევესტნიკი“) იმარჯვა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ მ. ცარიტოვა („კოლმეურნე“) და ა. ორლოვსკაია („განთიადი“). გოგონათა შორის გამბედაობა მარტო მ. კოზანაშვილს („ბურევესტნიკი“) ეყო და I ადგილიც მას დარჩა.

ქალთა შორის 4×5 კილომეტრზე ესტაფეტის სტარტზე „ბურევესტნიკი“ არ გამოცხადდა, „ვოდნიკმა“ კი დისტანციაზე ბრძოლა შეწყვიტა. ამან საქმე გაუადვილა სხვებს, რომლებსაც ახლა უკვე გარანტირებული ჰქონდათ საპრიზო ადგილები. „კოლმეურნის“ კვარტეტს (მ. კალმიკოვა, ლ. ვლასოვა, ლ. გუბანოვა, ნ. ბაღაშვილი — 1:21.12), მეორე პრიზიორი — „სპარტაკი“ 14 წუთითა და 13 წამით ჩამორჩა, ხოლო „განთიადი“ — ნახევარ საათზე მეტით.

დაახლოებით ასეთი სურათი იყო ვაჟთა შორის 4×10 კილომეტრზე ესტაფეტაში. განსხვავება მხოლოდ ის გახლდათ, რომ ამჯერად ხუთივე გუნდმა ფინიშამდე გაძლო, თანაც „ბურევესტნიკსა“ და „ვოდნიკს“ შორის III ადგილისთვის უშედეგათო ბრძოლა გაჩაღდა. საბოლოოდ სტუდენტებმა მეტოქეს 1 წუთით აჯობეს და საპრიზო ადგილი დაიკავეს, მაგრამ „სპარტაკთან“ (2:20,17) 25 წუთი წააგეს, ჩემპიონს — „კოლმეურნის“ კოლექტივს (მ. გოლოლობოვი, გ. გულბანი, რ. ზედგენიძე, ლ. სოლოიანი) კი თითქმის 40 წუთით ჩამორჩნენ, „კოლმეურნის“ კვარტეტმა 40 კილომეტრის გავლას 2:06.24 მოანდომა, „განთიადს“ კი ამისთვის 2:58.04 დასჭირდა (?!) როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია!

სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის IV სპარტაკიადამდე საქართველოს მოთხილამურეებს ერთი გენერალური რეპეტიცია — რესპუბლიკის ზამთრის სპარტაკიადა მოელით, მაგრამ არ გვგონია მანამდე სპორტსმენთა მომზადებაში რაიმე ხელშესახები სასიკეთო ძვრები მოხდეს, ვინაიდან საამისო დრო აღარ არის. სამაგიეროდ, საკავშირო სტარტამდე დარჩენილი პერიოდი მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული.

საქართველოს პროფკავშირული სპორტსაზოგადოებების სპარტაკიადის ორგანიზებულად ჩატარებას დიდად შეუწყო ხელი საქართველოს სპორტკომიტეტის დახმარებამ და განსაკუთრებით ამ კომიტეტის სპორტის ზამთრის სახეობების განყოფილების უფროსის, საკავშირო კატეგორიის მსაჯის ა. კალინინის ზრუნვამ.

მეტად საინტერესო და დაძაბული გამოდგა იუნიორების 15 კილომეტრზე რბოლა. შეჯიბრების ბედი გადაწყვიტა ერთმა წამმა, რომლითაც 18 წლის ნ. მიტინმა (49.38,0) თანატოლსა და თანაგუნდელს რ. ზედგენიძეს („კოლმეურნე“) აჯობა, კარგი შედეგი ჰქონდა სპარტაკელ ნ. დიკონაშვილსაც, რომელიც მიტინზე და ზედგენიძეზე 5 წლით უფროსია, მან დისტანციის გავლას 50 წუთი და 37 წამი მოანდომა.

ს. ნათაძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.
ბაკურიანი.

სტუდენტური პრადეგების დღეებში

დადგა სტუდენტური არდადეგების დღეები, საინტერესო შეხვედრებისა და სპორტული სტარტების დრო. სტუდენტ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს მოუხმობს სპორტული მოედნები და დარბაზები, ცისფერი ბილიკები და დათოვლილი ფერდობები. დაძაბული სასწავლო სემესტრის შემდეგ, როცა უკან რჩება სესიებთან დაკავშირებული მღელვარება, მართლაც რომ სასიამოვნოა სპორტული პაექრობა, მეცადინეობით დაშშვრალი სულისა და სხეულის გაკაჟება-გალაღება.

როგორ გამოიყურება საარდადეგო სპორტული კალენდარი? სად და რომელ ასპარეზობებში ვიხილავთ სტუდენტ სპორტსმენებს? აი, ამ კითხვებით მიმართა ჩვენმა კორესპონდენტმა „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს **ნუგზარ ასათიანს.**

— არდადეგების პერიოდში სტუდენტთა შორის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაჩაღება ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანია, — გვითხრა ნ. ასათიანმა, — ვცდილობთ ჩვენს ქალიშვილებსა და ჭაბუკებს აქტიური დასვენების, ჯანმრთელობის განმტკიცებისა და სულიერი და ფიზიკური ძალების აღდგენის საუკეთესო პირობები შევუქმნათ.

25 თებერვლიდან ბაკურიანში მუშაობას შეუდგა სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკი, სადაც რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების 200-ზე მეტი სტუდენტი დაისვენებს, სპორტული ოსტატობის დონეს აიმაღლებს. იქვე მოეწყობა ჩვენი საზოგადოების პირად-გუნდური პირველობა სპორტის ზამთრის სახეობებში. არდადეგების დღეებში მასობრივ ხასიათს მიიღებს მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საცურაო აუზის ცისფერი ბილიკები მთლიანად მშდ-ის ჯგუფებში გაერთიანებულ ფიზკულტურელებს დაეთმობათ.

მრავალფეროვანი და საინტერესოა სპორტული ღონისძიებების კალენდარი. არდადეგების პერიოდში ჩატარდება „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს პირველობა ფარიკაობასა და სპორტულ ტანვარჯიშში. კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ნაკრები მონაწილეობას მიიღებს ცენტრალური საბჭოს პირველობაში. ჩვენი წყალბურთელები, ფრენბურთელ და ხელბურთელ ქალ-ვაჟთა კოლექტივები უკვე ჩაებნენ ეგრეთ წოდებულ ზამთრის არდადეგების პრიზის ტრადიციულ გათამაშებაში. თბილისის უნივერსიტეტის მძლეოსნები მოსკოვის, ლენინგრადისა და ტარტუს უნივერსიტეტების ნაკრები კოლექტივების სამატჩო შეხვედრაში სასპარეზოდ მოსკოვში გაემგზავრებიან, მსატვრული ტანვარჯიშის ოსტატები კი. ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო უნივერსიტეტების 10 საუკეთესო გუნდთან ერთად ლენინგრადში გამოვლენ.

29 იანვრიდან 5 თებერვლამდე თბილისში ჩატარდება სამედიცინო ინსტიტუტების საკავშირო სპარტაკიადის ფინალური შეხვედრები ფრენბურთში, სადაც თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ვაჟთა გუნდიც გამოვა.

მრავალ რესპუბლიკურ თუ საკავშირო შეჯიბრებაში იასპარეზებენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მძლეოსნები, ფრენბურთელები, მსატვრული ტანმოვარჯიშეები და სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლები...

ერთი სიტყვით, ჩვენს სტუდენტ ახალგაზრდობას არდადეგების დღეებში კარგი შესაძლებლობა ექნება გამოსცადოს მკლავისა და მუხლის ძალა, აიმაღლოს სპორტული ოსტატობის დონე, კიდევ ერთხელ მიიღოს ფიზკულტურასთან, სპორტთან ურთიერთობის სიამოვნება, რომ შემდეგ განსაღებული ენერგიით შეეჭიდოს მეცნიერების მწვერვალებს.

სემინარი მარტში ჩატარდება

როგორც ცნობილია, ზაფხულის არდადეგების დადგომისთანავე პიონერული და გამაჯანსაღებელი ბანაკები სისხლსავსე ცხოვრებას იწყებენ, რაშიც ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა, ბგრეთვე, ბანაკებში ცურვის სწავლებას. ამასთან დაკავშირებით, მიმდინარე წლის 20-26 მარტს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში ჩატარდება ბანაკებში წამსვლელ ფიზკულტურის მასწავლებელთა და ცურვის სპეციალისტთა მოსამზადებელი სემინარი.

მსურველებს ცნობისთვის შეუძლიათ მიმართონ ფიზკულტურის ინსტიტუტთან (ი. ჭავჭავაძის პრ. № 49) არსებულ კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედ კურსებს.



დაუღალავი მრომის ნაყოფი

დასასრული

პირველ ქვესაშუალო წონაში (68 კგ) დავით გიგაურმა ადვილად დაჯაბა რუჩინელი ლაიოშ შანდორი (26:4), ხოლო როსტომაშვილ-კოტორაშვილის შეხვედრა ამ უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა — (12:9). რუსლან ბადალოვთან (სსრკ) შეხვედრაში ქულებით გაიმარჯვა გიორგი მაკარაშვილმაც.

მაყურებელს მუდამ აინტერესებს ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონები. საქეციენდ აღიარებულ ფალავანთა ხელვა. თბილისის ტურნირში მსოფლიოს 10 ჩემპიონი მონაწილეობს და, სასაკვირველია, ჭიდაობის გულშემატკივრებიც გულისფანცქალით ელოდნენ მათ გამოსვლას. სწორედ ამიტომ, როდესაც ხალიჩაზე „ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონი ივანე იარიგინი (100 კგ.) და რუმინელი ალექსანდრ პუშკაში გამოიძახეს, დარბაზში სული განაბა. იარიგინმა კლასიკურ ჭიდაობაში ჩაატარა შეხვედრა, დაბეგვილი ილეთებით გააბრუა მეტოქე და ... წუთსა და 38 წამში წმინდა გამარჯვებას მიაღწია. საინტერესოდ წარიმართა თბილისელი მალხაზ მერმანიშვილისა და ჭაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონის, 19 წლის მაგომედ ალგომედოვის შეხვედრა. გაიმარჯვა თბილისელმა (5:4). ასევე ქულებით მოიგო შეხვედრა რაშ ხუტაბამ (საქართველო) ჰაროლდ ბიუგნერთან (გდრ).

ამ წონაში, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე დაძაბული და საინტერესო მაინც ლევან თედიაშვილისა და ალანბეკ ბისულთანოვის შეხვედრა აღმოდგა — იგი მართლაც რომ ერთ ფუნინრად ღირდა. ლევანმა არც ერთი ტექნიკური ქულა არ დაუთმო თავის ალგაზრდა, ფიზიკურად ძალზე ძლიერ მეტოქეს. ამ შერკინებაში გამარჯვდა ლევანის ის შესაშური თვისებები — გამოცდილება, უზადო ტექნიკა და ბრწყინვალე ტაქტიკური აზროვნება, რომლებმაც იგი ხუთჯერ ოლიმპიოს, ხოლო ორჯერ ოლიმპიური თამაშების კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე აიყვანა. თუმცა პირველი წუთზე, როდესაც ლევან თედიაშვილი მსაჯებმა გააფრთხილეს, უნებურად გაგვახსენდა ჯეკ ლონდონის მშვენური მოთხრობა „ხორცის ნაჭერი“, სადაც ახალგაზრდა მოკრივე სენდელი ტარცეს გამოცდილ, მაგრამ უკვე ხანშესულ ტომი კინგს. საბედნიეროდ ... ბედარება უადგილო გამოდგა, რადგან ლევანმა შეხვედრა ბრწყინვალედ ... ბარა, მეტოქე — 8:1-ზე დაამარცხა და ფარული, მაგრამ მტკიცე იმედი ჩაგვისახა იმისა, რომ ორი წლის ... ბოლოს ჩვეული ოსტატობით იასპარეზებს მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებზე.

საინტერესოდ წარიმართა ევროპისა და საბჭოთა კავშირის შარმანდელი ... ოლუტური ჩემპიონის ნოდარ მოდებაძისა (მძიმე) და სიქტივკარელი ... ვლადიმერ პარშუკოვის შეხვედრა. პირველივე წუთზე ნოდარმა სამი ქულა ... ოთა მეტოქეს, შემდეგ კი ანგარიში ... ბალთან იზრდებოდა — 4:0, 4:1, 5:... პარშუკოვმა პასიურობას მიმართა, მაგრამ მალე მსაჯებისაგან სამი ... ფრთხილება მიიღო და ხალიჩა დატოვა. ... ბულმა დასტოვა. ნოდარ მოდებაძეს ... ალბათ ევროპის პირველობაზე ... ეუნეტ გამოსვლა და ნამდვილად საბ... ბოა ის დაუდალავი, მიზანსწრაფული შრომა, რომელიც ამ ბოლო დროს ... ყოველდღიურ ვარჯიშში მეტავნდა.

... ღეს თბილისის სპორტის სასახლეში ... ფინალური შეხვედრები გაიმართება.

ნ. შატაიძე.

• • •

... ურათზე: ნოდარ მოდებაძე და ... ვლადიმერ პარშუკოვის ... ბოლის ფინიში.

• კოტორაშვილის ფოტო.

გამომშვიდობება „ფეხბურთის მეფესთან“

პელეს ვეღარ იხილავენ მინდორზე, 1977 წლის 1 ოქტომბერს 78.000 მაყურებლის წინაშე „მეფე“ დაემშვიდობა ფეხბურთს. სახეიმოდ გამოწყობილი გოგონები, სიტყვით გამოსვლა, რომელიც ცრემლებით დამთავრდა... ქეშმარიტი ზეიმი იყო და მას მხოლოდ პელე, ფეხბურთის ნამდვილი მეფე, იმსახურებდა... ამ ერიდან არც ერთი მოთამაშე არ გამოვა „კოსმოსის“ შემადგენლობაში მეათე ნომრით...

ფრანგულ ჟურნალ „მონდიალის“ კორესპონდენტი ესაუბრა პელეს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სულ რამდენიმე წუთია, რაც ნიუ-იორკის „კოსმოსი“ დატოვეთ. რას ფიქრობთ ახლა?

— ძალზე მწყდება გული, რადგან ჩემი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ფურცელი გადავშალე. მხოლოდ ერთი რამ მანუგეშებს: ფეხბურთიდან წასვლა ჩემი ნებით ხდება, ამას არავინ მაიძულებს. არიან მოთამაშეები, რომლებიც ტრავმის გამო მიდიან, ან ფულისთვის თამაშობენ. მე აღარ ვითამაშებ და ეს მხოლოდ ჩემი გადაწყვეტილებითაა გამოწვეული.

— რას იტყოდით თქვენი საფეხბურთო კარიერის ციფრების შეჯამება რომ შეიძლებოდეს?

— პირველი მატჩი, როგორც პროფესიონალმა ფეხბურთელმა, 1956 წლის 7 სექტემბერს ჩავატარე და ბოლო კი — 1977 წლის 1 ოქტომბერს. ეს პროფესიული ფეხბურთის 21 წელია, რომლის განმავლობაშიც 1.363 მატჩი ჩავატარე და 1.281 გოლი გავიტანე. პირველი გოლი „სანტოსანდრეს“, ბოლო კი „სანტოსის“ კარში გავიტანე... ჩემს ბრაზილიელ თანამოძმეებთან ერთად სამჯერ მოვიგე მსოფლიოს თასი, ათჯერ სან-პაულუს ჩემპიონატის საუკეთესო თავდამსხმელი ვიყავი. 88 ქვეყანაში ვითამაშე, შევხვდი ორ პაპს, 5 იმპერატორს, 108 მთავრობის ხელმძღვანელს...

— თქვენ დაწერეთ პოემა, რომელშიც ნათქვამია: „მთავარია, რასაც ვქმნი და რასაც ჩემს შემდეგ დავტოვებ“. რას გულისხმობთ, რაც უკვე გააკეთეთ თუ კიდევ აპირებთ რაიმეს შექმნას...

— ვფიქრობ, რომ სწორედ ფეხბურთმა მომცა საშუალება ყველა ქვეყნისა და ყველა ფენის ადამიანებთან მქონოდა კონტაქტი, მეზრუნა სიკეთისთვის. განსაკუთრებით ბავშვებისთვისაა საჭირო მეტი ყურადღების მიქცევა, მათთვის სიყვარულის გრძნობის შთანერგვა.

— თქვენი გამოსვლის დახახრულს სტადიონზე მოსულ მაყურებლებს რატომ თხოვეთ სამჯერ გაემეორებინათ სიტყვა „სიყვარული“?

— იმიტომ, რომ ადამიანებმა, რომლებიც პატივს მცემენ, უნდა იცოდნენ, რომ ჩემს ცხოვრებაში ფეხბურთი და კეთილმოყვარეობა არასოდეს გამიჯნულან ერთმანეთისგან.

— ყველგან, სადაც კი ყოფილხართ, მაყურებელი ტაშით გხვდებათ, კასიუს კლეიტ კი რინგზე სტვენით იკლებენ. რა განსხვავებაა თქვენს შორის?

— არავითარი. როდესაც ხალხს ვთხოვე სამჯერ გაემეორებინა „სიყვარული“, კასიუს კლეის თვალები ცრემლით ავსო... ვის შეუძლია ახლა ჩვენს შორის განსხვავებაზე ილაპარაკოს?

— მამათქვენი პროფესიონალი ფეხბურთელი იყო, მაგრამ არასოდეს განუცდია წარმატება, დღეს, როცა მას „კოსმოსის“ მეათე ნომერი მაისური გადაეცით, რა ფიქრები გიტრიალებდათ თავს?

— ვფიქრობ იმ ეპოქის პროფესიონალ ფეხბურთელთა უნაყოფო ცხოვრებაზე, როდესაც მე დავიწყე თამაში, მამაჩემი ყოველი მატჩის შემდეგ სიღარიბეს უბრუნდებოდა. მე გფიქრობდი აცრემლებულ დედაჩემზე, როდესაც ბაურუში ვაპირებდი წასვლას პროფესიონალი ფეხბურთელის ბედის საგდელად. გავიხსენე ჩემი პირველი საუკეთესო მატჩიც.

— საიდან მოდის ზედმეტი სახელი — პელე?

— ეს თავადაც არ ვიცი ზუსტად. ჩემმა მშობლებმა ზედმეტი სახელი „დიკო“ შემარქვეს. პელე გაცილებით გვიან გავხდი. ვფიქრობ, ეს მაშინ მოხდა, როდესაც ჩემს ამხანაგებთან ერთად ვთამაშობდი მიწის ყოველგვარ თავისუფალ ადგილზე, რომლებსაც ჩვენში „პელადებს“ უწოდებენ. მე ბურთი კარგად მიმქონდა კარისკენ და ჩემს უბანში ავტორიტეტი მქონდა.

— რა გახსოვთ ყველაზე უკეთ?

— მძიმედ მხოლოდ ორჯერ დავშავდი ჩემი სპორტული კარიერის მანძილზე. უპირატესობას ვაძლევ 1970 წელს მსოფლიო თასის მოგებას, გამოსამშვიდობებელ მატჩს „მარაკანას“ გაჭედილ სტადიონზე, 1969 წლის 19 ნოემბერს მეათასე გოლს „ვასკო და გამას“ კარში და ბოლოს ამ წუთებს, როცა შეერთებული შტატების ჩემპიონის ტიტულს ვემშვიდობები... 1966 წელს ჩემმა მოწინააღმდეგეებმა ბულგარელმა ჟეჩევმა და პორტუგალიელმა მორაისმა მწყობრიდან გამომიყვანეს. მოედანი რომ დავტოვე, მივხვდი, რომ ფეხბურთი იცვლებოდა. მაშინ, რამდენიმე თვის განმავლობაში ძალზე სასოწარკვეთილი ვიყავი...

— რატომ არ მონაწილეობდით 1974 წელს მსოფლიო თასის გათამაშებაში?

— ნაწილობრივ იმ მიზეზების გამო, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ: ძალადობა, მძიმე თამაში, ის, რასაც ევროპელები რეალიზმს უწოდებენ. პელეს უბრალოდ ეთამაშებიან, ტოტალო ნახევრად დაბრმავებულია, განა ეს ფეხბურთია? იყო, აგრეთვე, ოჯახური და პროფესიული მიზეზებიც.

— ჩვენ ახლა კასიუს კლეი ვახსენეთ. ბევრის აზრით, თქვენი ავტორიტეტით გაცილებით მტკიცე პოლიტიკური პოზიციების დაჭერა შეგეძლოთ?

— კარგად მესმის, რაც ჩემს ირგვლივ ხდება, მაგრამ მე პირველ რიგში ფეხბურთელი ვარ და დროც არ მქონდა სხვა ასალგაზრდებივით მეფიქრა პოლიტიკურ პრობლემებზე... ისე კი ვერავითარ განსხვავებას ვერ ვხედავ მეფეს, დიქტატორს, იმპერატორსა და ყველაზე მდაბიო წარმოშობის მაყურებელს შორის.

— თქვენ 1.281 გოლი გაიტანეთ. რას გრძნობდით იმ წუთს, როცა ბურთი ბადეში ეხვეოდა?..

— ეს არაჩვეულებრივი წუთებია. მაყურებელთა ყიჟინა ჩემში ჭეშმარიტ სულიერ აღტყინებას იწვევს...

— და მაშინ მუშტს სწევთ ჰაერში და სიხარულისგან დახტიხართ, არა?..

— დიახ, ეს ჩვეა 1957 წლიდან დამყვა. მოწინააღმდეგის მინდორზე მაყურებელი მისტკვნდა, ჩემი დათრგუნვა უნდოდა... გოლი გავიტანე, ტრიბუნებს მივუბრუნდი და ხტუნვა დავიწყე, თანაც მუშტს ვიქნევდი... ეს ეუსტი მალე ბევრად უფრო მშვიდობიანი გახდა...

— ვინაა ის საუკეთესო ფეხბურთელი, რომლის გვერდით გითამაშიათ?

— 1966 წელს ინგლისში, მსოფლიო თასის გათამაშების შემდეგ, გადავწყვიტე ნაკრებში აღარ მეთამაშა, მაგრამ 1969 წელს დავთანხმდი შესარჩევ მატჩებში მონაწილეობაზე. ექვსი მატჩი ტოსტაოსთან ერთად ცენტრალურ თავდამსხმელად ვითამაშე. შემდეგ იყო მექსიკა, სადაც ჩვენ გავიმარჯვეთ. ტოსტაო იდეალური პარტნიორი იყო და ძალზე სამწუხაროა, რომ იძულებული გახდა ასე ნაადრევად გამომშვიდობებოდა ფეხბურთს.

— თქვენს შვილს ედსონი ჰქვია არა?... ითამაშებს იგი თქვენსავით ფეხბურთს?

— წარმოდგენა არა მაქვს, ამას თვითონ გადაწყვეტს...

— 1975 წლის 9 ივნისს ნიუ-იორკის „კოსმოსთან“ დასდეთ ხელშეკრულება და კვლავ დათანხმდით ფეხბურთს დაბრუნებოდით. რატომ?

— იმიტომ, რომ წამოწყება მეტად ორიგინალური იყო. საქმე უპირველეს ყოვლისა იმას ეხებოდა, რომ ფეხბურთი დამკვიდრებულიყო კონტინენტზე, რომელიც ერთადერთი უწყვდა წინააღმდეგობას ამ პოპულარულ თამაშს. როდესაც აქ ჩამოვედი, ყველაფერი განსაკეთებელი იყო; ყველაფრის მოსაგვარებლად კი მომიხმეს მე, პატარა ბრაზილიელი კეთილი კაცი და ეს მაშინ, როცა აქ 200 მილიონი მცხოვრებია.

— როგორ ფიქრობთ, შეასრულეთ განზრახული?

— ვფიქრობ, მეც ხელი შევუწყე ამერიკის შეერთებულ შტატებში ფეხბურთის განვითარებას. აქ დიდი წინსვლაა. მიმომხილველები მხოლოდ პროფესიულ მხარეს ხედავენ, მაგრამ ნელნელა თავს იყრიან ასობით მოყვარულთა კლუბები, საიდანაც წამოვლენ კარგი ფეხბურთელები.

— რა რჩევას მისცემთ ახალგაზრდა ფეხბურთელებს?

— მუდამ ბრძოლაა საჭირო, ვინაიდან გოლის გატანის შანსი შეიძლება ნებისმიერ წამში გამოჩნდეს.

— სტოვებთ ფეხბურთს და საქმის კაცი ხდებით?

— მე ახლახან ხელი მოვაწერე ხელშეკრულებას ფირმა „ვარნერ ბროსთან“ და მაინც ფეხბურთის სფეროში ვრჩები, რომელიც ესოდენ მიყვარს.

ფრანგულიდან თარგმნა
ლალი ჭაბუკიანმა.

ხელბურთი

26 იანვარს დანიაში სტარტი აიღო ხელბურთელ ვაჟთა გუნდების IX მსოფლიო ჩემპიონატმა.

შესარჩევი თამაშები ოთხ ჯგუფში მიმდინარეობს. მესამე ჯგუფში გამოდიან საბჭოთა ხელბურთელები. მათი პირველი მეტოქე ისლანდიის გუნდი იყო. ინიციატივას თავიდანვე დაეუფლნენ საბჭოთა სპორტსმენები და მატჩის ბოლომდე არ გაუშვიათ ხელიდან. საბოლოოდ გამარჯვება — 22:18 (14:9). გამარჯვებულთაგან გოლების ავტორები არიან: გასი (4), მაქსიმოვი, კრავცოვი, ჩერნიშოვი, კიდიაევი, ეუკი — 3-3, ილინი, რეზანოვი, ბელოვი — 1-1. ამავე ჯგუფში დანიამ მოუგო ესპანეთს — 19:15.

სხვა ჯგუფებში თამაშები ასე დამთავრდა: **I ჯგუფი** — იუგოსლავია — კანადა 24:11, გფრ — ჩეხოსლოვაკია 16:13; **II ჯგუფი** — უნგრეთი — საფრანგეთი 33:22, რუმინეთი — გდრ 16:18; **IV ჯგუფი** — შვეიცია — ბულგარეთი 31:16, პოლონეთი — იაპონია 26:21.

გუშინ ჯგუფებში მორიგი შეხვედრები შედგა. სსრ კავშირის გუნდი ესპანეთს ეთამაშა, დღეს კი საბჭოთა ნაკრები მასპინძლებს ხვდება.

ეტრბსკე-კლესოს მიდამოებში დამთავრდა სოციალისტური ქვეყნების დინამოელთა ზამთრის IV სპარტაკიადა. საბჭოთა სპორტსმენებმა ამ შეჯიბრებაში საბოლოოდ 157 ქულა მოაგროვეს და 68 ქულით ჩამოიტოვეს ჩეხოსლოვაკიის „რუდა გვეზდა“. III ადგილი წილად ხვდა გდრ-ის „დინამოს“ — 73.

ქალთა შორის, როგორც 5, ისე 10 კილომეტრზე რბენა მოიგო გ. იურასოვამ (სსრ კავშირი) — 16.04,99 და 31.54,02. სამთო-მოთხილამურე ქალთა შეჯიბრების ბოლო სახეობა გიგანტური სლალომი იყო. აქ ლეოველმა ტ. პერჩატკინამ იმარჯვა. საბჭოთა სპორტსმენებმა მოიგეს, აგრეთვე, ესტაფეტები. ვაჟთა შორის 4×10 კილომეტრზე ფ. სიმაშოვმა, ვ. კუზნეცოვმა, ა. იურასოვმა და ა. კუზნეცოვმა ტრასის გავლას 1 საათი, 54 წუთი და 07,75 წამი მოანდომეს, II ადგილზე გასულმა გდრ-ის კვარტეტმა კი აჩვენა 1:56.46,04. ქალთა შორის 4×5 კმ რბენაში ვ. ტროპაკის, ა. ერმაკოვას, ლ. მერკისა და გ. იურასოვას შედეგია 1:06.04,87. აქ II ადგილი ჩეხოსლოვაკიის „რუდა გვეზდას“ ხვდა — 1:08.16,35.

ბოლო დღეს მოეწყო ორშიდელთა შეჯიბრება. იმარჯვა ბ. ციმერმანმა (გდრ) — 429,3 ქულა.

თხილამურები

მსოფლიო პიროვნების მატიანე

ახალი ჩემპიონი

მ. ჩიგორინთან მატჩის შემდეგ ვ. სტეინიცს მონაწილეობა არ მიუღია ტურნირებში. იგი აღარ აპირებდა პრაქტიკულ თამაშს დაბრუნებოდა, რადგან მისმა ახალმა საჭადრაკო მოძღვრებამ საყოველთაო აღიარება და მოწონება დაიმსახურა. მაგრამ საზოგადოებას უნდოდა მსოფლიო ჩემპიონის თამაში.

იმ დროა სტეინიცის ღირსეულ მეტოქეებად მ. ჩიგორინი და გერმანელი დიდოსტატი ზ. ტარაში მიიჩნევდნენ. ტარაშმა სასელო გაიოქვა ბრუსლავლის (1889 წ.), მანჩესტერის (1890 წ.) და დრეზდენის (1892 წ.) საერთაშორისო ტურნირებში პირველი პრიზების მოპოვებით. 1890 წელს მან უარი თქვა მსოფლიო ჩემპიონთან შეხვედრაზე, მას ჯერ ვერ გაგუმლავდებიო.

მაგრამ ამავე დროს ჭადრაკის სამყარო განცვიფრებული აღვნებდა თვალს ბერლინელი ჭაბუკი მოჭადრაკის ე. ლასკერის წინსვლას.

ემანუილ ლასკერმა (დაიბადა 1868 წლის 24 დეკემბერის ბერლინჰემში) 9 წლისამ ისწავლა ჭადრაკის თამაში. მისი უჩვეულო ნიჭის გამოვლენასრულყოფაში დიდი ამაგი მიუძღვის უფროს ძმას, ემანუელ და ოსტატს, ბერტოლდს. ძმებმა მხოლოდ ერთხელ (1890 წ.) ითამაშეს ერთ ტურნირში და I-II ადგილები გაიყვეს. მათ შორის გამართული პარტია ემანუილმა მოიგო. გიმანზიის დამთავრებისთანავე, 1889 წელს ლასკერი ბერლინის უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტზე შევიდა. იმავე წელს მან ოსტატის წოდება მოიპოვა. ამ წარმატებას მოჰყვა ახალგაზრდა ლასკერის მეტად სერიოზული გადაწყვეტილება: დროებით თავი დაენებებინა სწავლისთვის, მოეცალა ძალ-ღონე ჭადრაკისთვის მოენდომებინა და ებრძოლა... მსოფლიო პირველობისთვის. შეუპოვარმა ახალგაზრდამ საოცრად სწრაფად, ოთხ წელიწადში განახორციელა თავისი ჩანაფიქრი.

ლასკერი შესაფური ენერგიით მიიღტოდა მიზნისკენ. ძალიან ბევრს თამაშობდა, რათა საზოგადოებრიობის მოწონება და მხარდაჭერა დაემსახურებინა. მან მატჩებში სძლია ინგლისელ ოსტატებს, რომელთაგან უძლიერესნი თავიდან მას ალმაცერად უყურებდნენ.

1892 წლის შემოდგომაზე მოუსვენარი ლასკერი ამერიკის „დასაპყრობად“ გაემგზავრა. იგი ბევრს და წარმატებით თამაშობს. ამერიკელებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ევროპელის გამარჯვებამ ნიუ-იორკის 1893 წლის ოსტატთა ტურნირში, რომელშიც ყველა — ცამეტი მეტოქე დაამარცხა!

ამ წარმატებების შემდეგ თავისთავად წამოიჭრა სტეინიც — ლასკერის მატჩის მოწყობის საკითხი. შეხვედრის ჩატარება ითავა ჰავანის საჭადრაკო კლუბმა. ყველასთვის მოულოდნელად სტეინიცმა გამოწვევა მიიღო. მას მოსწონდა დაუღალავი ლასკერი, მისი თამაშის მანერა, რომელიც სტეინიცის ახალი მოძღვრებიდან იყო აღმოცენებული. ამიტომ მსოფლიო ჩემპიონი ბევრ დათმობაზე წავიდა. მან მიიღო ლასკერის წინადადებაც თამაშის ადგილის თაობაზე.

მეტოქეებმა მოილაპარაკეს, რომ ითამაშებდნენ 10 მოგებულ პარტიამდე (ყაიმების ჩაუთვლელად) სამ ქალაქში — ნიუ-იორკში ოთხ, ფილადელფიაში სამ მოგებამდე და მონრეალში (კანადა) მატჩის -ბოლომდე.

მატჩი მიმდინარეობდა 1894 წლის 15 მარტიდან 26 მაისამდე. აი, როგორ წარიმართა იგი: I პარტია მოიგო ლასკერმა. II პარტიაში სტეინიცმა იერიშით სძლია მეტოქეს. ლასკერმა არ დააყოვნა რევანში, მაგრამ IV პარტიაში კვლავ გაიმარჯვა მსოფლიო ჩემპიონმა. V და VI პარტიები ყაიმით დამთავრდა.

VII პარტიაში სტეინიცი ჩინებულად თამაშობდა, მოპაგები პოზიცია ააგო, მაგრამ მოულოდნელად დამარცხდა. ლასკერის შეუპოვრობამ დაღალა ხანდაზმული ჩემპიონი და იგი მწარედ შეცდა. ამ წარუმატებლობამ თითქოს შეცვალა სტეინიცი. მან ზედიზედ კიდევ ოთხი პარტია წააგო, სამი მათგანი — ფილადელფიაში. ლასკერი საგრძნობლად დაწინაურდა: +7—2=2.

მონრეალში მსოფლიო ჩემპიონი გონს მოვიდა და ლასკერს დიდი ბრძოლა გაუმართა. XII პარტია ყაიმით რომ დაამთავრა, ზედიზედ მოიგო XIII და XIV პარტიები. მაგრამ ლასკერმა ადვილად გადაიტანა მარცხი და მყისვე აანაზღაურა დანაკარგი: სტეინიცს ფარ-ხმალი დააყრევინა XV და XVI პარტიებში. სტეინიცმა დიდი ბრძოლა მოიგო XVII პარტიაში, რაც მისი უკანასკნელი წარმატება აღმოჩნდა. XVIII პარტია ყაიმით დასრულდა, XIX პარტია ლასკერმა მოიგო და მატჩიც დამთავრდა.

+10—5=4 — ასეთია შეხვედრის ანგარიში ლასკერის სასარგებლოდ. მოშურნენი ამბობდნენ: რა მოხდა 26 წლის ახალგაზრდამ 58 წლის მოხუცი დაამარცხაო. ტარაში და მისი თანამოაზრენი უწუნებდნენ ლასკერს თამაშს, პრობლემებისადმი მიდგომას. ერთი სიტყვით, ლასკერის გამარჯვებას უნდობლად შეხვდნენ. საჭიროა ლასკერმა დაამტკიცოს, რომ იგი ნამდვილი მსოფლიო ჩემპიონია. დაულოლელი ლასკერი მზად იყო საბრძოლველად.

სტეინიცმა რაინდულად დაამთავრა ორთაბრძოლა. XIX პარტიაში დანებების შემდეგ იგი ადგა და ყველას გასაგონად წარმოთქვა:

— სამეზის ვაშა ახალ მსოფლიო ჩემპიონს!

ერთი საათის შემდეგ, იგი დიდხანს უჯდა საჭადრაკო მაგიდას. ფიქრმა გაიტაცა. არავინ იცის რა აწუხებდა ჭადრაკის მოჭირნახულეს, მის თავდადებულ მსახურს. იქნებ ის, რომ უსახსრობის გამო აღარ ჰქონდა თავისი საჭადრაკო ჟურნალი, ვერ გამოეცა თავისი ნაშრომების ტომები. შეიძლება აქ გადაწყვიტა გულადმა სტეინიცმა დაბრუნებოდა პრაქტიკულ თამაშს. მას ხომ 1883 წლიდან ტურნირში არ უთამაშია. მაგრამ ჯერ საჭირო იყო კვლავ აღედგინა წარსული დიდება, მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

...და 1894 წლის შემოდგომაზე სტეინიცმა ახალი მსოფლიო ჩემპიონი მატჩ-რევანშში გამოიწვია. ლასკერმა თანხმობა შეუთვალა.

თ. გიორგაძე.

* * *

სურათზე: ვ. სტეინიცი (მარცხნივ), ე. ლასკერი მატჩის დროს.

მიზანი — ოთხეული

როგორც ცნობილია, 25 იანვარს სტატი აიღო უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე ეტაპმა — რვა უძლიერესი გუნდის შეჯიბრებამ. სსრ კავშირის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორები, თბილისის „დინამოს“ კალათბურთელები პირველ ორ მატჩს მეტოქეთა მოედანზე ატარებენ — მოსკოვში ადგილობრივ არმიელებთან (დღეს) და თავიანთ თანაკლუბელებთან (31 იანვარს). ამ საპასუხისმგებლო ეტაპის წინ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ესაუბრა დინამოელთა უფროს მწვრთნელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, სპორტის ოსტატ ლ. **მოსეშვილს** და სთხოვა გაზეთის მკითხველთათვის მოეთხრო გუნდის მზადების შესახებ. აი, რა სთქვა მან:

— კალათბურთის საკავშირო ფედერაციის გადაწყვეტილებით ამ ეტაპზე შეჯიბრებები ჩატარდება ახალი ფორმულით: ოთხი 12-წუთიანი ტაიმი. ეს მოთამაშეებისგან, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, ახალგაზრდა კალათბურთელებისგან გარკვეულ დამატებით ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მომზადებას მოითხოვს, საბედნიეროდ, გამოცდილ ოსტატ კალათბურთელებმა, ეროვნულ ბიბლიოთეკა საამისოდ, რათა ტურისთვის ღირსეულად მომზადებულიყვნენ. მაგრამ უკანასკნელ მომენტში, სამწუხაროდ, გამოგვაკლდა ისეთი კალათბურთელი, როგორიც თ. ჩიხლაძეა, რომელსაც გრმა ნაწლავის ოპერაცია მოელის. ეს, რა თქმა უნდა, კოლექტივისთვის დიდი დანაკლისია. ამის მიუხედავად, ჩემი ღრმა რწმენით, გუნდი მზადაა ამ ეტაპის ძირითადი ამოცანის შესასრულებლად — უძლიერესთა ოთხეულში მოსახვედრად.



ერთოგლივი გამოფენა

ოლიმპიადა-80-ის საორგანიზაციო კომიტეტმა სსრ კავშირის „გლავსპორტპრომისა“ და საბჭოთა საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციებთან ერთად დაიწყო მზადება მეორე სპეციალიზებული საერთაშორისო გამოფენის — „სპორტული ინვენტარი და აღჭურვილობა“ — მოწყობისთვის, რომლის გახსნა ნავარაუდევია 1978 წლის აპრილისთვის.

გამოფენის მიზანია წარმოადგინოს თანამედროვე სპორტში გამოყენებული მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევები და გააგრძელოს სხვადასხვა ორგანიზაციებთან და ფირმებთან ორმხრივ სასარგებლო თანამშრომლობა. ფირმები, რომლებმაც საორგანიზაციო კომიტეტთან ხელი მოაწერეს შეთანხმებას პროდუქციის მიწოდების თაობაზე ოფიციალური მიმწოდებლის პირობებში, თავიანთ ნაკეთობებს მოსკოვის ოლიმპიადის ემბლემით წარმოადგენენ.

როგორც საკდესის კორესპონდენტს ოლიმპიადა-80-ის საორგანიზაციო კომიტეტიდან აცნობეს, სპორტულ-ტექნოლოგიური საშუალებების განხრით „XXII ოლიმპიური თამაშების ოფიციალური მომმარაგებლის“ დიპლომი 8 ცნობილმა ფირმამ მიიღო. მათ შორის არიან უნგრეთის საგარეო ვაჭრობის გაერთიანება „ელექტროიმპექსი“ (საინფორმაციო ტაბლო), გდრ-ის ფირმა „ფებ ლიბგერეტეუნდ-რეპარატურვე“ (პისტოლეტით სროლის აღჭურვილობა).

უკვე ტრადიციად იქცა შვეიცარიის ფირმა „სვისს-ტაიმინგისთვის“ ზოგიერთი ოლიმპიური შეჯიბრების შედეგების „ფიქსაციის“ ორგანიზაციის უფლების მინიჭება. „სვისს-ტაიმინგის“ აღჭურვილობას ვნახავთ მოსკოვში მძლეოსნობაში, ცურვასა და ველოსპორტში შეჯიბრებების დროს ოლიმპიადა-80-ის დანარჩენ 11 სპორტის სახეობაში შედეგებს აღნუსხავს სამმაგლო აპარატურა. (საკდესი).

ესპანეთი — იტალია

მადრიდი. ესპანეთისა და იტალიის ფეხბურთელებმა, რომლებიც მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობენ, ესპანეთის დედაქალაქში, კლუბ „რეალ-მადრიდის“ სტადიონზე ჩაატარეს ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა. იგი მოიგეს ესპანელებმა ანგარიშით 2:1 (1:0).

ანგარიში მე-10 წუთზე პენალტით გახსნა მასპინძელთა ნახევარმცველმა პირომ, ხოლო 57-ე წუთზე დანიმ მეორეც აიღო იტალიელთა კარი. მატჩის დასასრულს სტუმრებმა შეძლეს ერთადერთი საპასუხო ბურთის გატანა (ტარდელი).

● არ იყვნენ რენსენბრინკი და კრუიფი ● სტუმრად გატანილმა გოლმა გადაწყვიტა ● „საგანგებო შტაბი“ ● ჩემპიონატის მასპინძლების სპარინგ მატჩები ● დაადგენს ფიფა-ს მსაჯთა კოლეგია.

ჰაარლემი. ჰოლანდიის ნაკრებმა, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადება, ალკმაარში ამხანაგური მატჩი ჩაატარა იმ უცხოელ ფეხბურთელთა ნაკრებთან, რომლებიც ჰოლანდიის კლუბებში გამოდიან და გაიმარჯვა ანგარიშით 1:0. გოლი გაიტანა რეამმ.

ჰოლანდიის ნაკრებში არ თამაშობდნენ რენსენბრინკი, რომელსაც საამისო უფლება არ დართო მისმა კლუბმა „ანდერლეხტმა“ (ბელგია), აგრეთვე, კრუიფი, რომელმაც ადრევე განაცხადა, რომ არ ითამაშებს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში.

ტუნისი. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის მონაწილემ ტუნისის ნაკრებმა თავის მინდორზე აფრიკის თამაშების განმეორებითი შერჩევითი მატჩი მოუგო ლიბანის გუნდს — 2:1, მაგრამ 2 მატჩის ჯამში იძულებული იყო დაეთმო მეტოქისთვის, ვინაიდან მას პირველი თამაში მოგებული ჰქონდა ანგარიშით 1:0. ყველაფერი გადაწყვიტა ლიბანელთა მიერ სტუმრად გატანილმა გოლმა. ტუნისელთაგან პაიაღლინშნავია, რომ ამ მატჩში ორივე გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდა რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომლებსაც მწვრთნელები სინჯავენ მომავალი გადამწყვეტი ბრძოლებისთვის. იტალიის ეროვნულ ნაკრებში არ თამაშობდნენ ისეთი ცნობილი ოსტატები, როგორებიცა მეკარე ძოფი, მცველი ფაკეტი, თავდამსხმელი ბეტეგა.

ეს იყო ესპანეთისა და იტალიის ნაკრები გუნდების მე-19 შეხვედრა. ახლა მეტოქეებს 6-6 გამარჯვება აქვთ, 7 მატჩი დამთავრდა ფრედ.



ვარშავა. შეიქმნა პოლონეთის ნაკრების მსოფლიო ჩემპიონატისთვის სამზადისის შტაბი. მთავარ მწვრთნელი ი. გმოხს მიამაგრეს ა. სტრეიელიეკი (იგი 1974 წელს ასისტენტობას უწევდა კ. გურსკის), რ. კულეშა და ბ. ბლაუტი.

ბუენოს-აირესი. მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლებს — არგენტინელ ფეხბურთელებს ფინალის დაწყებამდე განზრახული აქვთ ჩაატარონ 5 ამხანაგური საერთაშორისო მატჩი: 19 და 23 მარტს ბრაზილიის ნაკრებთან, 29 მარტს — ბულგარელებთან, 5 აპრილს — რუმინელებთან და 12 აპრილს — პორტუგალიელებთან.

ციურიხი. მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების მომსახურებისთვის არბიტრების ვინაობას დასახელებენ 18 თებერვალს, ფიფა-ს მსაჯთა კოლეგიის სხდომაზე.

მხიარული ფანქრით



ნ. ქელეხსაშვილის ნახატები.

„სპორტლოტო“

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს“ და „სპორტლოტო-2“-ის მეოთხე ტირაჟებისა, რომლებიც მოსკოვში 25 იანვარს მოეწყო.

„სპორტლოტო“: ექვსი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია, ექვსი ნომრისთვის (შეღავათიანი ბურთულით) — 2291, ხუთისთვის — 1291, ოთხისთვის — 42, სამისთვის — 3.

„სპორტლოტო-2“: ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო; ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 2276 მანეთია, ოთხისთვის — 37, სამისთვის — 3.

გუშინ მოსკოვში გაიმართა „შაბათის სპორტლოტოს“ მორიგი, მეოთხე ტირაჟი.

აი, იღბლიანი ციფრები:

პირველი: 3, 6, 12, 18, 26.

მეორე: 6, 7, 11, 15, 27.

რედაქტორი
ა. გასილაია.

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობისა და პარასკევობისა. რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; მასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; ჰანობრივ ფიზიკურ კულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-59; ნერვლების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.